ოქმი:**ო37.37211111**

თარიღი:**21/04/2021**

ოქმი #11

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2021წელი, 20 აპრილი

ქ. ოზურგეთი

11^{00} – 12^{00} საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: გ.ღურჯუმელიძე, გ. ჩაგანავა, ე. გორდელაძე, გ.კილაძე, გ.ჩავლეშვილი, დ.ჭაკნელიძე, ბ.დოლიძე, გ.თოიძე.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 9, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს.

დღის წესრიგი

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხებისა და პროექტების განაწილების შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ოსიკო თოთიბაძე

პროექტი შეტანილ იქნა საკრებულოს მიმდინარე წლის 22 აპრილს ჩანიშნული სხდომის დღის წესრიგში, განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად დაეწერა დარგობრივ კომისიას(ლ.ბიგვავა).

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებული საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მიმდინარე წლის 22 აპრილის სხდომის დღის წესრიგში განხილვა-დამტკიცების მიზნით. ამასთან საკითხი განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს დარგობრივ კომისიას (ლ.ბიგვავა).

2. საკრებულოს სხდომა გაიმართოს მიმდინარე წლის 22 აპრილს დღის 12.00

საათზე საკრებულოს სხდომათა დარბაზში.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი